მუსლიმანს ეკრძალება თავისი ძმისგან დაშორება სამ დღეზე მეტხანს, რომლის განმავლობაშიც ისინი შეხვედრისას ერთმანეთს ზურგს აქცევენ. ხოლო მათგან საუკეთესო ის იქნება, ვინც პირველი მიესალმება მეორეს

გადმოცემულია აბუ აიუბ ალ-ანსარისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მუსლიმანს ეკრძალება თავისი ძმისგან დაშორება სამ დღეზე მეტხანს, რომლის განმავლობაშიც ისინი შეხვედრისას ერთმანეთს ზურგს აქცევენ. ხოლო მათგან საუკეთესო ის იქნება, ვინც პირველი მიესალმება მეორეს».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აუკრძალა მუსლიმანს თავის მუსლიმ ძმასთან ურთიერთობის გაწყვეტა სამ დღეზე მეტი ხნის განმავლობაში. როდესაც ისინი შეხვდებიან არ ესალმებიან და არ ესაუბრებიან ერთმანეთთან. ამ სიტუაციაში, ორ დაპირისპირებულს შორის საუკეთესო ის იქნება, ვინც პირველი გადადგამს ნაბიჯს შერიგებისკენ და კონფლიქტის მოგვარებისკენ, დაწყებული მისალმებით. აქ საუბარია დროებით ურთიერთობის შეწყვეტაზე (ბოიკოტზე) პირადი წყენის გამო. რაც შეეხება ბოიკოტს, რომელიც გამოწვეულია ალლაჰის უფლების დარღვევით, მაგალითად, ცოდვილებთან, სიახლის(ბიდ'ათის) მიმდევართან და ცუდ მეგობრებთან მიმართებაში, ასეთი ბოიკოტი დროში არ არის შეზღუდული და გრძელდება მანამ, სანამ მასში არის სარგებელი და წყდება მაშინ, რომ ეს სარგებელი მთავრდება.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5365